

ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის  
N40 ბინაზე, მოქალაქე მალვინა ჯღარკავასათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამში განხილული იქნა დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაში მცხოვრები მოქალაქე მალვინა ჯღარკავას განცხადება /2012 წლის 02.08 Nჯ-6173/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N40 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მალვინა ჯღარკავას.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე /საერთო ფართობი 52,98 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 30,30 კვ.მ, დამხმარე ფართობი 22,68 კვ.მ./ მოქალაქე მალვინა ჯღარკავას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია